მოწვევა სატენდერო წინადადების მიღებაზე

თარიღი	**2023 წლის 16 მაისი**
სესხის No.	**სესხი No. 3291/3292-GEO: ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - ტრანში 5**
კონტრაქტის No.	**No. UWSCG-NCB-HeadworkDevices-Works-2023. სათავე ნაგებობაზე მიღებული წყლის მოცულობის ზუსტი გაანგარიშებისთვის ნაკადის მრიცხველების მიწოდება და მონტაჟი**
სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა	**2023 წლის 15 ივნისი 15:00 საათი.**

1. საქართველოს მთავრობამ აზიის განვითარების ბანკისაგან (ADB) მიიღო სესხი ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის მე-5 ტრანშის დასაფინანსებლად. სესხის ნაწილი გამოიყენება ზემოხსენებული კონტრაქტის ფარგლებში. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია აზიის განვითარების ბანკის წევრ ქვეყნებს.

2. **საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG) (შემსყიდველი)** იწვევს დალუქულ წინადადებებს უფლებამოსილი პრეტენდენტებისგან, ინდივიდუალურ კონტრაქტებზე (ლოტები) ან მის ნებისმიერ კომბინაციაზე, წყლის მოცულობის ზუსტი გაანგარიშებისთვის საჭირო ხარჯმზომის მოწოდება და დამონტაჟების შესყიდვის მიზნით.

- **ლოტი 1:** ქართლისა და კახეთის რეგიონები; UWSCG-NCB-HeadworkDevices-L1-Works-2023
- **ლოტი 2:** ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონები. UWSCG-NCB-HeadworkDevices-L2-Works-2023
- **ლოტი 3:** იმერეთი , რაჭა და სვანეთის რეგიონები . UWSCG-NCB-HeadworkDevices-L3-Works-2023
- **ლოტი 4:** სამცხე-ჯავახეთის რეგიონი. UWSCG-NCB-HeadworkDevices-L4-Works-2023

3. **ეროვნული საკონკურსო ტენდერი** ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი-ერთკონვერტიანი სატენდერო პროცედურების მიხედვით. მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა პრეტენდენტს დაშვებული ქვეყნებიდან, სატენდერო დოკუმენტების მიხედვით.

4. მინიმალური ძირითადი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

<u>მიმდინარე სამართალწარმოება</u> :
პრეტენდენტის წინააღმდეგ, ყველა მიმდინარე სასამართლო და არბიტრაჟი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს პრეტენდენტის წმინდა ღირებულების ორმოცდაათ (50) პროცენტს, რომელიც გამოითვლება როგორც სხვაობა მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის.

<u>საკონტრაქტო გამოცდილება:</u>
ბოლო 5 წლის განმავლობაში სულ მცირე ისეთ ერთ კონტრაქტში მონაწილეობა, რომელიც წარმატებით ან არსებითად დასრულდა და მსგავსია შემოთავაზებული სამუშაოებისა და სადაც პრეტენდენტის მონაწილეობის აჭარბებს შემდეგ ოდენობას:
ლოტი 1 – 2 600 000.00 ლარი
ლოტი 2 – 2 100 000.00 ლარი
ლოტი 3 – 3 400 000.00 ლარი
ლოტი 4 – 2 000 000.00 ლარი
პრეტენდენტის მონაწილეობის მსგავსება უნდა ეფუძნებოდეს ფიზიკურ ზომას, სამუშაოების ტიპს, სირთულეს, მეთოდებს, ტექნოლოგიას ან სხვა მახასიათებლებს, რომლებიც აღწერილია მე-6 ნაწილში (დამსაქმებლის მოთხოვნები).

<u>საკონტრაქტო გამოცდილება ძირითად საქმიანობაში:</u>
ზემოაღნიშნული ან სხვა კონტრაქტებისთვის, რომლებიც გაფორმებულია ზემოხსენებულ 2.4.1-ში მითითებულ პერიოდში, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მინიმალური სამშენებლო გამოცდილება შემდეგ ძირითად საქმიანობაში:

ბეტონის სამუშაოები (ერთი წელი ბოლო 5 წლის განმავლობაში) არანაკლებ

ლოტი 1 – 900მ3
ლოტი 2 – 800 მ3

ლოტი 3 – 1200 მ3
ლოტი 4 – 900 მ3

და

ბოლო 5 წლის განმავლობაში, რომელიმე ერთ წელიწადში უნდა ქონდეს:
ლოტი 1 –15 კმ წყალმომარაგების სისტემა ან მთავარი გადამცემი ხაზის მშენებლობა ან რეაბილიტაცია.
ლოტი 2 –15 კმ წყალმომარაგების სისტემა ან მთავარი გადამცემი ხაზის მშენებლობა ან რეაბილიტაცია.
ლოტი 3 –15 კმ წყალმომარაგების სისტემა ან მთავარი გადამცემი ხაზის მშენებლობა ან რეაბილიტაცია.
ლოტი 4 –15 კმ წყალმომარაგების სისტემა ან მთავარი გადამცემი ხაზის მშენებლობა ან რეაბილიტაცია.

ისტორიული ფინანსური მაჩვენებელი: გასული სამი (3) წლის განმავლობაში აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების ან თუ პრეტენდენტის ქვეყნის კანონით არ მოითხოვება, სხვა ფინანსური ანგარიშების, რომლებიც მისაღებია შემსყიდველისათვის, წარმოდგენა, რათა დადასტურდეს პრეტენდენტის ფინანსური მდგომარეობის გამართულობა. როგორც მინიმუმ, პრეტენდენტის წმინდა ღირებულება გასული წლისათვის, რომელიც გამოითვლება აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობით, უნდა იყოს დადებითი.

საშუალო წლიური ბრუნვა: მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა:
ლოტი 1 – 4 900 000.00 ლარი
ლოტი 2 – 4 000 000.00 ლარი
ლოტი 3 – 6 500 000,00 ლარი
ლოტი 4 – 3 900 000.00 ლარი

გამოითვლება პრეტენდენტის მიერ ბოლო 3 წლის განმავლობაში დასრულებული ან გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის მიღებული მთლიანი გადახდების სახით.

- **ფულადი სახსრების ბრუნვა:** ლიკვიდურ აქტივების, საკრედიტო ხაზებისა და სხვა ფინანსების ფლობა ან მათზე წვდომა, რათა დაკმაყოფილდეს ფულადი სახსრების ბრუნვის მოთხოვნა. თითოეული ლოტისათვის მოთხოვნილი ფულადი სახსრების ბრუნვა შემდეგია:
  ლოტი 1 – 1 650 000.00 ლარი
  ლოტი 2 – 1 360 000.00 ლარი
  ლოტი 3 – 2,175,000.00 ლარი
  ლოტი 4 – 1 300 000.00 ლარი

5. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად პრეტენდენტები უნდა ეწვიონ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემას (Ge-GP) http://procurement.gov.ge/ . ინფორმაციის მოთხოვნა ასევე მიიღება მხოლოდ Ge-GP სისტემის მეშვეობით.

6. ადგილზე ვიზიტი არ იქნება ორგანიზებული.

7. წინასწარი სატენდერო შეხვედრა გაიმართება:
   თარიღი: 2023 წლის 24 მაისი;
   დრო: 15:00 საათი. ადგილობრივი დრო
   მისამართი: საქართველო, თბილისი, ანა პოლიცკოვსკაიას 5/7
   სართული/ოთახის ნომერი: პირველი სართული

8. სატენდერო დოკუმენტაცია ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია უფასოდ, საქართველოს ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების (Ge-GP) სისტემიდან 2023 წლის 16 მაისიდან 2023 წლის 15 ივნისამდე.

9. წარადგინეთ თქვენი წინადადებები

ონლაინ, საქართველოს ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების (Ge-GP) სისტემის მეშვეობით http://procurement.gov.ge/ ბოლო ვადამდე: 2023 წლის 15 ივნისი 15:00 სთ. ადგილობრივი დროით და

- დაურთეთ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია, როგორც ეს აღწერილია სატენდერო დოკუმენტში.